

# ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24  
2022 წლის 2 დეკემბერი

## ქ.ლაგოდები

**ლაგოდების მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის“ დამტკიცების შესახებ**

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2023 წ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 2-ე პუნქტის, ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2023 წ.

### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდების მუნიციპალიტეტის, ლაგოდების მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესისი დამტკიცების თაობაზე“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს N64 დადგენილება [www.matcne.gov.ge.10.08.2018](http://www.matcne.gov.ge.10.08.2018); 010260020.35.167.016414).

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

დანართი 1

**ლაგოდების მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი**

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2023 წ.

### თავი I

### ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

ლაგოდების მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი (შემდგომში –



წესი) განსაზღვრავს ლაგოდების მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის პროცედურებს.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2023 წ.

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ქონება – ლაგოდების მუნიციპალიტეტის, ლაგოდების მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული აქტივები;
2. ჩამოსაწერი ქონება - ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონება.
3. ინვენტარიზაციის კომისია - ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით მერიაში და ა(ა)იპ-ში შექმნილი კომისია.
4. ქონების განადგურება - შესაბამის ორგანიზაციაზე/საწარმოზე ხელშეკრულების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ჩამოწერილი ქონება.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2023 წ.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2023 წ.

## **მუხლი 3. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა**

1. მუნიციპალიტეტის მერიისა ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა ხორციელდება:

ა) მოძრავი ქონების – მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მისი მოადგილის გადაწყვეტილებით და მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით (გარდა 500 ლარამდე საბალანსო ღირებულების ამორტიზებული მოძრავი ქონებისა);

ბ) 500 ლარამდე საბალანსო ღირებულების ამორტიზებული მოძრავი ქონების ბალანსიდან ჩამოწერა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მისი მოადგილის გადაწყვეტილებით

გ) უძრავი ქონების – მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

2. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (შემდგომში – დაწესებულება) ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა ხორციელდება:

ა) მოძრავი ქონების – დაწესებულების ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებითა და მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით (გარდა 500 ლარამდე საბალანსო ღირებულების ამორტიზებული მოძრავი ქონებისა);

ბ) 500 ლარამდე საბალანსო ღირებულების ამორტიზებული მოძრავი ქონების ბალანსიდან ჩამოწერა ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით

გ) უძრავი ქონების – მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2023 წ.



#### **მუხლი 4. ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნისა და ქონების ჩამოწერის წესი**

1. მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება საინვენტარიზაციო კომისია. მერიის და ა(ა)იპ-ის საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ ხუთი წევრისაგან, მათ შორის: თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, ბუღალტერი (აღრიცხვა ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და წევრ(ებ)ი, საინვენტარიზაციო კომისიის დასაკომპლექტებლად საშტატო ერთეულების არასაკმარისი რიცხოვნობის შემთხვევაში საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობა მტკიცდება მათი მაქსიმალური რაოდენობიდან გამომდინარე, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა.

2. საინვენტარიზაციო კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ მდგომარეობას, შესაბამისი გადაწყვეტილებით ასაბუთებს ძირითადი აქტივების ჩამოწერის აუცილებლობას, ავსებს ამ დებულების თანდართულ ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტებს (№1 და №2 დანართები) და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტებს (№3 დანართი), თითოეულ ძირითად აქტივზე ცალ-ცალკე. საჭიროების შემთხვევაში საინვენტარიზაციო კომისიამ შესაძლებელია გამოიყენოს დარგის სპეციალისტის დასკვნა (შესაბამისი აუდიტორული ან საექსპერტო) ჩამოსაწერი ქონების შეფასების შესახებ. საინვენტარიზაციო კომისია ქონების ჩამოწერის შესახებ დასკვნას ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგენს მერს, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელს, რომელიც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

*ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2023 წ.*

#### **მუხლი 5. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯარტი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვა**

1. მერიის და ა(ა)იპ-ის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის პროცედურის დასრულების შემდეგ და ამ დებულების №3 დანართის საფუძველზე ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯარტი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) აისახება ბალანსში მარაგების სახით ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აქტებით დადგენილი ღირებულების შესაბამისად.

2. ჩამოწერის შედეგად მიღებული და მარაგების სახით ბალანსზე აღრიცხული ქონების (ჯარტი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვას მერია და ა(ა)იპ ახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 6. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების განადგურება**

1. ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია, მერიის და ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარება განადგურებას, რომელიც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ქონების განადგურების პროცესს ესწრება ამავე ქონების ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტი და დგება ჩამოწერილი ქონების განადგურების აქტი.

3. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განადგურება უნდა განხორციელდეს ამ მიზნისათვის კანონმდებლობით გამოყოფილ ადგილებში.



4.ქონების განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია საინვენტარიზაციო კომისია.



**ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი**

20 წლის ----- მდგომარეობით

ორგანოს, დაწესებულების, საბიუჯეტო ორგანიზაციის, წარმომადგენლობის დასახელება -----

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები									ფაქტობრივი მდგომარეობა				
N	დასახელება	ნომენკლ/პტრინკოდი #	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	თვითღირებულება*	სასარგებლო მომსახურების ვადა	აკუმულირებული ცვეთა (ლარი)	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება	თვითღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადა	აკუმულირებული ცვეთა (ლარი)	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება
1	2	3	4	5	7	9			10	11	12		

\*შენიშვნა: თვითღირებულება მოიცავს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში არსებით გაუმჯობესებებს

კომისიის წევრები:	1. -----	ვამტკიცებ:
	2. -----	კომისიის თავმჯდომარე
	3. -----	
	4. -----	